თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2158529

ნომერი: AR1332166

თარიღი : 04.08.2015

გაცემის თარიღი : 26.08.2015

გაცნობის თარიღი : 26.08.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , არტემ ლუსინიანის ქუჩა N5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა გულედანი პ/ნ 01019004522
- ვაჟა ფშაველას 16 ოფისი222

ორგანიზაცია:

- შპს სასკო კოდი: 205045636

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.04.2015წ. №1870089 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 04/08/2015წ. #AR1332166 განაცხადებით მომართა ლელა გულედანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 30.04.2015წ. №1870089 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.04.2015წ. №1870089 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, იალბუზის ქ. N 7-9, ლუსინიანის ქ. N5-ში თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №1.17.01.134.025) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 01.05.2015 წ.-დან 01.05.2017 წ.-ის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, 30.04.2015წ. №1870089 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა საერთო ფართისა და მასში შემავალი ცალკეული ფართების მაჩვენებლები, კერძოდ, საერთო ფართობი 13797.32 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 13860.32 კვ.მ.–ს, საცხოვრებელი ფართობი 9036.0 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 9076.5 კვ.მ.–ს, საზაფხულო ფართობი 1066.0 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 1026.5 კვ.მ.–ს, ხოლო კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1036.62 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 1098.62 კვ.მ.–ს. ამასთან, განმცხადებელი უთითებს, რომ შეთანხმებული გეგმების ექსპლიკაციაში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი ფართების დაჯამების ნაწილში, ასევე, პროექტის შეთანხმების სტადიაზე არ წარმოდგენილა + 0.00 ნიშნულის გეგმა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გაასწოროს 30.04.2015წ. №1870089 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, ასევე, ამავე ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩაანაცვლოს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.04.2015წ. №1870089 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს 13860.32 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად – 9076.5 კვ.მ, საზაფხულო ფართობად – 1026.5 კვ.მ, ხოლო კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1098.62 კვ.მ;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.04.2015წ. №1870089 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციას დაემატოს წინამდებარე, 04/08/2015წ. #AR1332166 განცხადებით წარმოდგენილი გეგმა + 0.00 ნიშნულზე;
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.04.2015წ. №1870089 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციას, ამავე ბრძანებით შეთანხმებული გეგმების ნაცვლად, დაემატოს წინამდებარე, 04/08/2015წ. #AR1332166 განცხადებით წარმოდგენილი გეგმები;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 30.04.2015წ. №1870089 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.